

**ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის
„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში სტიპენდიების მინიჭების
საფაკულტეტო წესი**

1) „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიებით დაფინანსება ითვალისწინებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტის დაფინანსებას წინა სემესტრის შედეგების გათვალისწინებით, შერჩევის საფუძველზე. ასევე, დაფინანსება გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც კალენდარულ სემესტრში სტატუსი შეჩერებული ჰქონდა უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გამო, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს მუნდუსის პროექტების, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებისა და თსუ-სა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (პარტნიორ უნივერსიტეტებს) შორის გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 5 დეკემბრის ბრძანების #2013/01-01 (დანართი #1) შესაბამისად.

2) სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევა განხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა (თითოეულ საგანში არანაკლებ 81 ქულისა) და წინა სემესტრში შესრულებული მინიმუმ 30 კრედიტის საფუძველზე 100 ქულიანი სისტემით:

ა) **აკადემიური მოსწრება** - შეფასდება 80 ქულით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში, ასევე ამ წესის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, წინა სემესტრში სასწავლო კურსებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით, რომელიც გამრავლდება 80–ზე და გაიყოფა 100–ზე

ბ) სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა - შეფასდება მაქსიმუმ 10 ქულით მხოლოდ სასტიპენდიო კონკურსის განსაზღვრული ვადების მიხედვით;

შესრულების მტკიცებულებად განიხილება კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (კონფერენციის პროგრამა და დამონმებული სერთიფიკატი ან ცნობა), რომლითაც უნდა დგინდებოდეს, რომ სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო: სამეცნიერო კონფერენციაში.

შენიშვნა: წინა სემესტრის პერიოდი აითვლება ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებიდან მომდევნო სემესტრის დაწყებამდე.

შეფასების სქემა

აქტივობა/აქტივობები	ქულა
<p>საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულების/დანესებულებების მიერ (გარდა თსუ-ისა) ორგანიზებულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა;</p> <p><u>* მოცემულ ველში ჩაითვლება მაქსიმუმ 3 განსხვავებულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა</u></p>	1
<p>თსუ-ის მიერ ორგანიზებულ/თანაორგანიზებულ საუნივერსიტეტო ან/და საფაკულტეტო (გარდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა) სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა;</p>	2
<p>სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო ან/და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა;</p> <p>უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულების/დანესებულებების მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;</p>	3
<p>სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ საუნივერსიტეტო ან/და საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვება;</p>	4

გ) სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება - შეფასდება მაქსიმუმ 10 ქულით მხოლოდ სასტიპენდიო კონკურსის განსაზღვრული ვადების მიხედვით;

ჩაითვლება მხოლოდ ინდივიდუალურად ან არაუმეტეს ბაკალავრიატის საფეხურის მხოლოდ ერთ თანაავტორთან გამოქვეყნებული, სამეცნიერო ჟურნალის ერთ ნომერში გამოქვეყნებული ერთი პუბლიკაცია/სტატია. შესრულების მტკიცებულებად განიხილება მხოლოდ სტატიის/პუბლიკაციისა და სამეცნიერო ჟურნალის შესაბამისი ნომრის ელექტრონული ვერსია, რომლითაც უნდა დგინდებოდეს, რომ პუბლიკაცია გამოქვეყნებულია სასტიპენდიო კონკურსის შესაბამისი სასწავლო სემესტრით განსაზღვრულ ვადებში;

შენიშვნა: წინა სემესტრის პერიოდი აითვლება ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებიდან მომდევნო სემესტრის დაწყებამდე.

შეფასების სქემა

აქტივობა/აქტივობები	ქულა
<p>სტატიები/პუბლიკაციები ქართულ ბეჭდურ ან ელექტრონულ პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალებში, რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი და ჰყავს აკადემიური/სამეცნიერო სარედაქციო კოლეგია;</p> <p><u>*მოცემულ ველში ჩაითვლება მაქსიმუმ 1 სტატია/პუბლიკაცია.</u></p>	2
<p>სტატიები/პუბლიკაციები ქართულ ან უცხოურ, ბეჭდურ ან ელექტრონულ პერიოდულ რეცენზირებად/რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში, რომელსაც რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი და ჰყავს აკადემიური/სამეცნიერო სარედაქციო კოლეგია;</p>	3
<p>სტატიები/პუბლიკაციები ქართულ ან უცხოურ, ბეჭდურ ან ელექტრონულ პერიოდულ რეცენზირებად/რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში, რომელსაც რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი და ჰყავს აკადემიური/სამეცნიერო სარედაქციო კოლეგია და ინდექსირებულია Google Scholar-ის მიერ.</p>	4

დამგვიცემთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 18 იანვრის სხდომაზე (ოქმი N1).